მიტროპოლიტი ილარიონი: განხეთქილებაში მყოფი სტრუქტურები – ეს „ჩრდილოვანი“, ყალბი მართლმადიდებლობაა

ხშირად განხეთქილებაში მყოფი მოძრაობები იღებენ დახმარებით ძალას, ესწრაფვიან დაარღვიონ საზოგადოებრივი თანხმობა, როგორც ცნობილია: თუკი წარმატებით მოახერხებენ ეკლესიის განხეთქილებას, ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების განხეთქილებასაც. ამის შესახებ ისაუბრა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა ტელეგადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო“.

„განხეთქილებაში მყოფი სტრუქტურები , რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობენ, თავისი სახით წარმოადგენენ ერთგვარ „ჩრდილოვან მართლმადიდებლობას,“ – აღნიშნა იერარქმა. – ეს ნამდვილი კი არა, არამედ ყალბი მართლმადიდებლობაა“.

მან შეახსენა, რომ ყველა საეკლესიო განხეთქილების საფუძველში სიყალბეა: „ამ სტრუქუტრებში,

რომლებიც თავს მართლმადიდებელ ეკლესიას მიაკუთვნებენ, „მღვდლები“ ისეთივე შესამოსელს ატარებენ, როგორსაც კანონიკური ეკლესიის მღვდლები, „მაღალი იერარქებიც“ ასევე იმოსებიან. მაგრამ საეკლესიო კანონების თვალთახედვით ამ სტრუქუტრების საიდუმლოებები უმადლოა. ეს ნიშნავს, რომ თუ ამ „ეკლესიაში“ მიჰყავთ ბავშვი მოსანათლად, ნათლობა არ სრულდება, თუკი ვინმე მიდის ამ „ეკლესიაში“ საზიარებლად, ზიარება არ ხდება: ადამიანები არ იღებენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, არამედ უბრალოდ პურსა და ღვინოს“.

„ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ყალბი მართლმადიდებლობა – იგივე არ არის, რაც ნამდვილი მართლმადიდებლობა, ისევე როგორც ყალბი ახალი ამბები – იგივე არ არის, რაც ახალი ამბები რეალური მოვლენების შესახებ. საფუძველში სიყალბე დევს“, – ხაზგასმით აღნიშნა ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა.

წარსულ საუკუნეებშიც, და ჩვენს დროშიც ყველაზე ხშირად განხეთქილებები პოლიტიკური მიზეზებით წარმოიქმნება, კონსტატირება მოახდინა სსკგ-ს თავმჯდომარემ.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87828/